

დანართი #3



შპს „საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტი“

საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცებისა,
მოდიფიკაციისა და კრედიტების
აღიარების წესი.

თბილისი

2013

მუხლი 1. ეს წესი არეგულირებს „საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტის“ საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცებისა, მოდიფიკაციისა და კრედიტების აღიარების საკითხებს.

მუხლი 2. წინამდებარე წესი შემუშავებულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონის, „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის შემდეგი ბრძანებების საფუძველზე: „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ (ბრძ. N 99/ნ, თ. 01.10.2010), „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ (ბრძ. N 65/ნ, თ. 04.05.2011), „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ (ბრძ. N 3, თ. 05.01.2007), „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ (ბრძ. N 10/ნ, თ. 04.02.2010).

მუხლი 3. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი

3.1. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

- 3.1.1. პროგრამის საჭიროების განსაზღვრა;
- 3.1.2. დასაქმების ბაზრის შესწავლა და დასაქმების სფეროს/სავარაუდო პოზიციების განსაზღვრა;
- 3.1.3. პროგრამაზე დაშვება;
- 3.1.4. პროგრამის მიზნების ჩამოყალიბება;
- 3.1.5. პროგრამის შედეგების განსაზღვრა;
- 3.1.6. სასწავლო გეგმის შედგენა;
- 3.1.7. პროგრამის და მისი შემადგენელი კომპონენტების მოცულობის განსაზღვრა ECTS ევროპული კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის სისტემის მიხედვით;
- 3.1.8. სწავლებისა და სწავლის მეთოდების შემუშავება;
- 3.1.9. შეფასების მეთოდებისა და კრიტერიუმების შემუშავება;
- 3.1.10. პროგრამის სასწავლო კომპონენტების სილაბუსების შემუშავება;
- 3.1.11. სწავლის შედეგების რუკის
- 3.1.12. საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსების განსაზღვრა
- 3.1.13. პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსი;
- 3.1.14. პროგრამის დაზუსტება.

3.2. პროგრამის საჭიროების დადგენა

- 3.2.1. პროგრამის განხორციელების საჭიროება გამოსავლენად, უნდა ჩატარდეს კონსულტაციები შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან.

- 3.2.2. უნდა შემუშავდეს შესაბამისი კითხვარები;
- 3.2.3. მოხდეს გამოკითხვების შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზი;
- 3.3. დასაქმების ბაზრის შესწავლა და დასაქმების სფეროს/სავარაუდო პოზიციების განსაზღვრა;
- 3.3.1. დასაქმების ბაზრის მოთხოვნების ჩამოყალიბება
- 3.3.2. შესაბამისი ვაკანსიების გამოვლენა
- 3.3.3. მითითებული პოზიციებისთვის საჭირო ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების განსაზღვრა
- 3.3.4. ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით კვალიფიკაციის შესაბამისი პოზიციების დადგენა;
- 3.4. პროგრამაზე დაშვება;
- 3.4.1. პროგრამაზე დაშვების აუცილებელი მოთხოვნები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობის თანახმად;
- 3.4.2. პროგრამაზე დაშვების პირობებში აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული ის ცოდნა და უნარები, რაც უნდა გააჩნდეს კონკურსანტს, რათა შეძლოს შეთავაზებულ პროგრამაზე სწავლა და პროგრამის შესაბამისი მოთხოვნების დაკმაყოფილება;
- 3.5. პროგრამის მიზნების ჩამოყალიბება;
- 3.5.1. პროგრამის მიზნები შესაბამისობაში უნდა იყოს სასწავლო უნივერსიტეტის მისიასთან;
- 3.5.2. პროგრამის მიზნები ნათლად უნდა იყოს ჩამოყალიბებული, უნდა იყოს მიღწევადი და ორიენტირებული დასაქმების ბაზარზე;
- 3.5.3. პროგრამის მიზნები და დანიშნულება –კარგად უნდა იყოს აღწერილი. მიზნები სწავლის შედეგების ფორმით (რა უნდა იცოდეს, ესმოდეს ან რისი გაკეთება უნდა შეეძლოს სტუდენტს პროგრამის დასრულების შემდეგ) უნდა გამოიხატოს;
- 3.6. პროგრამის შედეგების განსაზღვრა;
- 3.6.1. სწავლის შედეგები უნდა შეესაბამებოდეს პროგრამის მიზნებს;
- 3.6.2. სწავლის შედეგები უნდა შეესაბამებოდეს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით შესაბამისი საფეხურის მიმართ დადგენილ მოთხოვნებს;
- 3.6.3. სწავლის შედეგები ჩამოყალიბებული უნდა იყოს ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში მოყვანილი კრიტერიუმების მიხედვით: ცოდნა და გაცნობიერება, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი, დასკვნის უნარი, კომუნიკაციის უნარი, სწავლის უნარი და ღირებულებები;
- 3.6.4. სწავლის შედეგები უნდა აღიწეროს დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციებით;
- 3.7. სასწავლო გეგმის შედგენა;
- 3.7.1. უნდა განისაზღვროს პროგრამის სასწავლო და/ან კვლევითი კომპონენტები პროგრამის შინაარსის მიზნებისა და შედეგების გათვალისწინებით;

- 3.7.2. სასწავლო და/ან კვლევითი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები უნდა იყოს ლოგიკური;
- 3.7.3. სასწავლო და/ან კვლევითი კომპონენტები უნდა განაწილდეს სასწავლო წლების/სემესტრები (ტრიმესტრების) მიხედვით;
- 3.8. პროგრამის და მისი შემადგენელი კომპონენტების მოცულობის განსაზღვრა ECTS ევროპული კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის სისტემის მიხედვით;
- 3.8.1. სტუდენტთა საქმიანობის შესაფასებლად გამოიყენება კრედიტი – ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტის მიერ ერთი საგნის ასათვისებლად შესასრულებელი სამუშაოს მოცულობას, გამოხატულს დროის ერთეულში – საათებში;
- 3.8.2. საკრედიტო სისტემის შესაბამისად, სტუდენტის დატვირთვა ერთი აკადემიური წლის (38-45 სასწავლო კვირა) განმავლობაში მოიცავს საშუალოდ 60 კრედიტს, რაც შეესაბამება სასწავლო საქმიანობის 1500-1800 ასტრონომიულ საათს, ხოლო ერთი კრედიტი მოიცავს სტუდენტის სასწავლო საქმიანობას (სტუდენტის დატვირთვას) 25 ასტრონომიული საათის განმავლობაში;
- 3.8.3. სასწავლო პროგრამის სტრუქტურულიდან და შინაარსიდან გამომდინარე დგინდება 1 კრედიტის საშუალო მოცულობა ასტრონომიულ საათებში;
- 3.8.4. ერთი და იგივე შინაარსის და მოცულობის მოდული ან საგანი ყველა პროგრამის სტუდენტისათვის უნდა მოიცავდეს თანაბარი რაოდენობის კრედიტებს;
- 3.8.5. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, დასაშვებია სტუდენტის წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 60 კრედიტს ან იყოს 60 კრედიტზე ნაკლები. დაუშვებელია სტუდენტის წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 75 კრედიტს;
- 3.8.6. კრედიტების განაწილება ხდება საგანმანათლებლო პროგრამის ყველა კომპონენტს შორის (როგორცაა მოდული, სასწავლო კურსი, პრაქტიკა, სამაგისტრო ნაშრომი და სხვ.). სასწავლო კურსი (საგანი) არის ერთსემესტრიანი (ერთტრიმესტრიანი);
- 3.8.7. კრედიტი ასახავს სამუშაოს იმ რაოდენობას, რომელიც საჭიროა ამა თუ იმ კომპონენტის დასასრულებლად და სწავლის შედეგების მისაღწევად;
- 3.8.8. კრედიტთა განაწილება სხვადასხვა კომპონენტებს შორის უნდა ეფუძნებოდეს საშუალო აკადემიურ მიღწევების მქონე სტუდენტის დატვირთვის რეალურ შეფასებას, რომელიც საჭიროა ყოველი კომპონენტისათვის დადგენილი სწავლის შედეგის მისაღწევად. კრედიტების განაწილების სისწორე უნდა შემოწმდეს სტუდენტის რეალური დატვირთვის შესახებ სრული ინფორმაციის შეგროვებითა და ანალიზით, რაშიც პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად სტუდენტებიც უნდა იღებდნენ მონაწილეობას.
- 3.8.9. კრედიტი არ შეიძლება იქნეს გაანგარიშებული მხოლოდ სტუდენტის მიერ

პროფესორ-მასწავლებლებთან სასწავლო გარემოში გატარებული საათების (საკონტაქტო საათების) მიხედვით.

3.9. სწავლებისა და სწავლის მეთოდების შემუშავება;

- 3.9.1. სწავლა/სწავლების მეთოდები უნდა შეირჩეს სასწავლო კომპონენტის მიზნებისა და მისაღწევი შედეგების შესაბამისად;
- 3.9.2. სწავლების შესაძლო ფორმებია: ლექცია, პრაქტიკული, ლაბორატორიული, სემინარი, სასწავლო/ სამეცნიერო/შემოქმედებითი პრაქტიკა და ა.შ.
- 3.9.3. თითოეული შერჩეული ფორმის ფარგლებში შესაძლებელია სწავლების სხვადასხვა აქტივობის გამოყენება სასწავლო კომპონენტის მიზნებიდან გამომდინარე. მაგ.:
 - რელევანტური მასალის მოძიება ელექტრონულ ფორმატში ან ბიბლიოთეკაში;
 - ლიტერატურის მიმოხილვა;
 - მიმდინარე საჭიროებისათვის ყველაზე უფრო რელევანტური წასაკითხი მასალის შეჯამება;
 - პრობლემების განსაზღვრა და ასევე მათი გადაჭრა;
 - მზარდი სირთულის, თუნდაც მცირე მოცულობის კვლევის წარმოება;
 - ტექნიკური ან ლაბორატორიული უნარების პრაქტიკა/გავარჯიშება;
 - პროფესიული უნარების პრაქტიკა/გავარჯიშება;
 - კვლევა და სტატიების, ანგარიშების, სამაგისტრო თემის წერა (მასალის მოცულობისა და სირთულის შესაბამისად);
 - სხვა სტუდენტებთან ერთად მუშაობა პრობლემის გადაჭრისა და ამის შესახებ ანგარიშის მომზადების მიზნით;
 - ზეპირი პრეზენტაციების მომზადება და გატარება ინდივიდუალურად და ჯგუფურად;
 - სხვათა სამუშაოს კონსტრუქციული კრიტიკა და სხვების მიერ საკუთარი სამუშაოს კრიტიკის გათვალისწინება;
 - შეხვედრებში (ან სემინარებში) მონაწილეობა და მათი გაძლოა;
 - ჯგუფის გაძლოა ან მისი ეფექტური წევრობა;
 - მედიის სხვადასხვა ფორმის გამოყენებით სხვებთან მონაცემების შესახებ კომუნიკაცია;
 - საკუთარი სამუშაოს კრიტიკული შეფასება.

3.10. შეფასების მეთოდებისა და კრიტერიუმების შემუშავება;

- 3.10.1. სტუდენტის შეფასების მეთოდები საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში უნდა უზრუნველყოფდეს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება შეფასების შედეგებით;
- 3.10.2. სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოიყენება გამჭვირვალე კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების,

ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ;

- 3.10.3. შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები დეტალურად უნდა იყოს გაწერილი სასწავლო კურსის სილაბუსში;
- 3.10.4. შეფასება უნდა ხდებოდეს სასწავლო კურსის შინაარსიდან და მიზნებიდან გამომდინარე სათანადო სიხშირით;
- 3.10.5. გამოყენებული შეფასების მეთოდების შესაბამისი წონების გადანაწილება უნდა იყოს ლოგიკური და სასწავლო კურსის მიზნების შესაბამისი;
- 3.10.6. დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს:
- ა) შუალედურ შეფასებებს;
 - ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.
- 3.10.7. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.
- 3.10.8. დასკვნითი გამოცდა არ უნდა შეფასდეს 40 ქულაზე მეტით.
- 3.10.9. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება არანაკლებ 51 ქულა.
- 3.10.10. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია სტუდენტის საბოლოო შეფასების მიზნებისათვის განსაზღვროს იმ სტუდენტთა დასკვნით გამოცდაზე გასვლის ვალდებულების საკითხი, რომელთაც შუალედური შეფასებებით მიღებული აქვთ 3.10.11 „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასება.
- 3.10.11. შეფასების სისტემა უშვებს:
- ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:
 - ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
 - ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
 - ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
 - ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
 - ა.ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;
 - ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:
 - ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
 - ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

- 3.10.12. ამ მუხლის 10.11 პუნქტით გათვალისწინებული შეფასებების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე.
- 3.10.13. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში (ტრიმესტრში). დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 10 დღისა.
- 3.11. პროგრამის სასწავლო კომპონენტების სილაბუსების შემუშავება;
- 3.11.1. სილაბუსის სტრუქტურა:
- სასწავლო კურსის დასახელება
 - სასწავლო კურსის მოცულობა ECTS კრედიტებში და საათებში.
 - სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა
 - სასწავლო კურსის შედეგები
 - სწავლების მეთოდები
 - შეფასების კრიტერიუმები
 - სასწავლო მასალა
 - თითოეული ლექციის მოკლე აღწერა
- 3.11.2. სასწავლო მასალა უნდა ეფუძნებოდეს მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებს და უნდა უზრუნველყოს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა;
- 3.12. სწავლის შედეგების რუკის შედგენა
- 3.12.1. სწავლის შედეგების რუკა უნდა იყოს შედგენილი ისე, რომ ცხადი იყოს თითოეული სასწავლო კომპონენტის როლი და დატვირთვა ზოგადად საგანმანათლებლო პროგრამით დასახული მიზნების მიღწევაში, ანუ, რა კომპეტენციებს ავითარებს ესა თუ ის სასწავლო კომპონენტი, როგორ უკავშირდება ის დარგობრივ და ზოგად კომპეტენციებს;
- 3.13. საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსების განსაზღვრა
- 3.13.1. დაწესებულების ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
- 3.13.2. სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი, მათ შორის შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის კომპიუტერები;
- 3.13.3. დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას, ასევე უზრუნველყოფილია საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობა;
- 3.13.4. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა

ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, აკადემიური პერსონალი, ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი;

3.14. პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსი;

3.14.1. საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება სათანადო კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალის, მასწავლებელთა, მკვლევართა ან მოწვეული პერსონალის მიერ;

3.14.2. კომპონენტის განმახორციელებელი პირი თავად ფლობს შეთავაზებული კომპონენტის სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელ კომპეტენციებს, რაც დგინდება: აკადემიური პერსონალის შემთხვევაში - ბოლო 10 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომით (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი პროექტით), რომელიც ადასტურებს შესაბამის დარგში მის კომპეტენტურობას; ხოლო მოწვეული პერსონალის ან მასწავლებლის შემთხვევაში - შეიძლება დადასტურდეს პრაქტიკული გამოცდილებით;

3.14.3. პერსონალის შერჩევა და დანიშვნა უნდა მოხდეს კანონმდებლობის და აკადემიური პერსონალის შერჩევის წესის მოთხოვნების დაცვით.

3.15. პროგრამის დაზუსტება.

3.15.1. წინამდებარე წესის მესამე მუხლში მოყვანილი თითოეული პუნქტის გადამოწმებასა და შესაბამისი ცვლილებების შეტანას, რაც უზრუნველყოფს პროგრამის საბოლოო სტრუქტურის ჩამოყალიბებას და მის მომზადებას დასამტკიცებლად.

მუხლი 4. საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების წესი

4.1. სასწავლო პროგრამის შემუშავების ინიციატორია საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების დეპარტამენტი;

4.2. პროგრამის ხელმძღვანელის მიერ შემუშავებულ საგანმანათლებლო პროგრამას დეპარტამენტის დირექტორი განსახილველად წარუდგენს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს;

4.3. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური განიხილავს პროგრამას, რამდენად შეესაბამება ის წინამდებარე წესით დადგენილ მოთხოვნებს და შესაბამის დასკვნას უბრუნებს დეპარტამენტს;

4.4. სკოლის დეკანი საგანმანათლებლო პროგრამას და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნას წარადგენს სკოლის საბჭოს სხდომაზე განსახილველად;

4.5. სკოლის საბჭოს სხდომას უნდა ესწრებოდეს შესაბამისი დარგის სპეციალისტები;

4.6. სკოლის საბჭოს დადებითი დასკვნის საფუძველზე სკოლის დეკანი საგანმანათლებლო პროგრამას წარუდგენს სასწავლო უნივერსიტეტის რექტორს დასამტკიცებლად; პროგრამს თან უნდა ერთვოდეს სკოლის საბჭოს გადაწყვეტილება და ხარისხის

უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნა;

4.7. საგანმანათლებლო პროგრამას ამტკიცებს სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი;

მუხლი 5. საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირების წესი

5.1. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შეტანის ინიციატორი შეიძლება იყოს ნებისმიერი დაინტერესებული მხარე: სტუდენტთა ჯგუფი, აკადემიური პერსონალი, საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების დეპარტამენტის დირექტორი, დეკანი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რექტორი;

5.2. პროგრამაში ცვლილების ინიციატივა შედის კანცელარიაში წერილობით;

5.3. წერილს განიხილავს სკოლის დეკანი და მოიწვევს სკოლის საბჭოს სხდომას, რომელსაც უნდა ესწრებოდეს შესაბამისი დარგის სპეციალისტები, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და დაინტერესებული მხარე;

5.4. სკოლის საბჭოს დადებითი დასკვნის საფუძველზე დეკანი წარადენს ცვლილებას დასამტკიცებლად უნივერსიტეტის რექტორთან;

5.5. პროგრამაში ცვლილების შეტანა მტკიცდება უნივერსიტეტის რექტორის მიერ;

მუხლი 6. სასწავლო უნივერსიტეტის ფარგლებს გარეთ/სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მოპოვებული კრედიტების აღიარება

6.1. კრედიტების აღიარების კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები:

6.1.1. აღიარებას ექვემდებარება დაწესებულების იმ პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტები, რომელზე ჩარიცხვა და სწავლება განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6.1.2. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტები, რომელთა საფუძველზეც განხორციელდა კვალიფიკაციის მინიჭება, არ შეიძლება აღიარებულ იქნეს სხვა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისთვის, გარდა დიპლომირებული სპეციალისტის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტების ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისთვის აღიარებისა;

6.1.3. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შესაბამისობა სტუდენტის მიერ გავლილ სასწავლო კურსებთან შეიძლება დადგინდეს შინაარსობრივი შესწავლის შედეგად, მათ სახელწოდებებში არსებული სხვაობის მიუხედავად;

6.1.4. დასაშვებია იმ სასწავლო კურსის აღიარება, რომელიც არ არის გათვალისწინებული მიმღები დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამით;

6.1.5. კრედიტების აღიარება უნდა მოხდეს ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ საკრედიტო სისტემასთან (ECTS) შესაბამისობაში, ხოლო იმ საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, რომელიც არ არის შესრულებული ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად კრედიტების გაანგარიშება უნდა მოხდეს

კანონმდებლობით დადგენილი წესით და წინამდებარე წესის **6.2.8** პუნქტის შესაბამისად;

6.2. კრედიტების აღიარების მოთხოვნები:

- 6.2.1. სასწავლო პროგრამების შესაბამისობის დადგენის მიზნით სტუდენტის სასწავლო ბარათის/ნიშნების ფურცლის განხილვა;
- 6.2.2. ერთი და იგივე დასახელების, შინაარსისა და მოცულობის (ECTS კრედიტები) სასწავლო კურსებში მოპოვებული კრედიტების აღიარება უნდა მოხდეს უპირობოდ;
- 6.2.3. სხვადასხვა დასახელების, მაგრამ შინაარსობრივად მსგავს სასწავლო კურსებში მოპოვებული კრედიტების აღიარების მიზნით უნდა მოხდეს ამ სასწავლო კურსების სილაბუსების შესწავლა და სწავლების შედეგების ანალიზი;
- 6.2.4. სასწავლო კურსების მოცულობის სხვაობის შემთხვევაში კრედიტის აღიარება უნდა მოხდეს სტუდენტის ინტერესების გათვალისწინებით (მაგ. თუ სტუდენტის მიერ პირველად საგანმანათლებლო პროგრამაში სასწავლო კურსის ანალოგიურ სასწავლო კურსს მიმღებ პროგრამაში ნაკლები კრედიტი აქვს მინიჭებული, მაშინ აღიარებული იქნება პირველად საგანმანათლებლო პროგრამაში მოპოვებული კრედიტი, ხოლო თუ მიმღებ პროგრამაში ანალოგიურ სასწავლო კურსს მეტი კრედიტი აქვს მინიჭებული, შესაძლებელია აღიარებულ იქნას მიმღები პროგრამის კრედიტის ოდენობით, თუ შესწავლილი საგნის სწავლის შედეგები იძლევა ამის შესაძლებლობას;
- 6.2.5. თუ საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებულია თავისუფალი კრედიტები, მაშინ დასაშვებია სტუდენტის მიერ გავლილი იმ სასწავლო კურსის/კურსების კრედიტების აღიარება, რომელიც არ არის გათვალისწინებული სასურველი საგანმანათლებლო პროგრამით;
- 6.2.6. თუ ე.წ. თავისუფალი კრედიტების რაოდენობა ასაღიარებელ კრედიტების რაოდენობაზე მეტია, მაშინ ამ კურსებიდან, სტუდენტთან შეთანხმებით, შეირჩევა ის სასწავლო კურსები, რომლებშიც სტუდენტს ყველაზე მაღალი შეფასება აქვს;
- 6.2.7. სტუდენტის მიერ შესწავლილი ის სასწავლო კურსები, რომელთა აღიარებაც არ მოხდა სასწავლო პროგრამების შესაბამისობის ფარგლებში, დამატებითი კრედიტების სახით უნდა აისახოს სტუდენტის დანართში;
- 6.2.8. თუ მობილობილობის მსურველი სტუდენტის პირველად სასწავლებელს არ გააჩნია ECTS საკრედიტო სისტემა, ან სასწავლო კურსი სტუდენტმა ჩააბარა ახალი სისტემის შემოღებამდე, სტუდენტი ვალდებულია წარმოადგინოს სასწავლო ბარათი, სადაც მითითებული იქნება სტუდენტის მიერ შესწავლილი კურსის მოცულობა აკადემიურ საათებში და სასწავლო კურსის აღწრილობა, სწავლის შედეგების მითითებით. განხილვის შედეგად სკოლის საბჭო მიიღებს გადაწყვეტილებას სტუდენტისათვის მისანიჭებელი კრედიტის რაოდენობის შესახებ;

6.3. კრედიტების აღიარების პროცედურები:

- 6.3.1. კრედიტების აღიარების საკითხი შეიძლება განხილულ იქნას:
- ა) სტუდენტის განცხადების საფუძველზე, როდესაც ის სასწავლო უნივერსიტეტის ფარგლებში იცვლის საგანმანათლებლო პროგრამას;
 - ბ) სტუდენტის განცხადებისა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ინფორმაციის საფუძველზე, მობილობის მსურველად რეგისტრირებული სტუდენტების შესახებ;
 - გ) სტუდენტის განცხადებისა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წერილის საფუძველზე, უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარების შესახებ;
- 6.3.2. კრედიტების აღიარების საკითხს, წინამდებარე წესის მოთხოვნების დაცვით, განიხილავს სკოლის საბჭო. სკოლის საბჭოს სხდომას უნდა ესწრებოდეს შესაბამისი დარგის სპეციალისტები და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი. სკოლის საბჭოს გადაწყვეტილება უნდა ეცნობოს დაინტერესებულ მხარეს;

მუხლი 7. დასკვნითი დებულებანი.

- 7.1. წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება რექტორის მიერ;
- 7.2. წესი ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

რექტორი,

აკაკი ხელაძე